ევროკავშირი
საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია
და ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის

პროექტი: საქართველოში კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და ბრძოლის ინსტიტუციური და ოპერატიული ჩარჩოების კონსოლიდაცია და გაძლიერება

პროექტის მიზანია გააგრძელოს ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის ხელშეწყობა ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და გააძლიეროს შესაბამისი საჯარო ინსტიტუტების, სამართალდამცავი ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ა.შ. შესაძლებლობები, რათა მათ ეფექტიანად ებრძოლონ და აღკვეთონ კორუფცია, ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, ქვეყანაში უფრო ეფექტიანი და სტაბილური საკანონმდებლო, ინსტიტუციონალური და ოპერატიული ჩარჩოს შემუშავების გზით, რომლებიც შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის“ მესამე ფაზის ფარგლებში. პროექტი ეფუძნება ამავე პროგრამის წინა ფაზებში ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიღწეულ შედეგებს (ფაზა I: 2015-2018 და ფაზა II: 2019-2023).

პროექტის მიზნებია

- საქართველოში კორუფციასთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლისა და პრევენციისათვის შესაბამისი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება.

ვინ ისარგებლებს პროექტით?

- იუსტიციის სამინისტრო
- ფინანსთა სამინისტრო
- ანტიკორუფციული ბიურო
- ფინანსური მონიტორინგის სამსახური
- საქართველოს ეროვნული ბანკი
- დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
- გენერალური პროკურატურა
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
- ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- სამოქალაქო საზოგადოება

მეთოდოლოგია

- საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის/საკანონმდებლო, შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების მეშვეობით.

მოსალოდნელი შედეგები

- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ზომების შემუშავება.
- კორუფციის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შემუშავება.

პროექტის ბიუჯეტი

- პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 665 000 ევროს.
- პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 19,3 მილიონი ევრო (80% დაფინანსებულია ევროკავშირის და 20% ევროპის საბჭოს მიერ).

პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტი გრძელდება 2023 წლის 1 მარტიდან 2026 წლის 28 თებერვლამდე.

როგორ მივიღოთ მეტი ინფორმაცია?

- პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის
  ვებგვერდი: http://partnership-governance-eu.coe.int/
  ელ-ფოსტა: dpc_pgg@coe.int
- ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
  ვებგვერდი: Council of Europe Office in Tbilisi (coe.int);
  ელ-ფოსტა: informtbilisi@coe.int

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ (PGG) არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კარგი მმართველობის გასაძლიერებლად.

PGG უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას მათი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, ის მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშინაო რეფორმებს მართლმსაჯულების გაძლიერების, ეკონომიკური დანაშაულისადმი წინააღმდეგობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის, ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. PGG მხარს უჭერს საქართველოს ევროპული პერსპექტივის დღის წესრიგს ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად.